



## სამეურნეო შურნალი

# მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალის ფასი წელიწადში . . . . . 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება  
თითო ნომერი ხელზე გასასყიდად . . . . . 10 კაპ. || ადრესი: Тифлисъ, Вярятинская, № 5.

### წელიწადი მემკრე

1910 წელიწადი.—1 მაისი.—№ 9.

### ზინაარსი

ს. ხუნდაძე . . . . .	ვაზის გათურჩქნა . . . . .	3
გ. გულბათიშვილი . . . . .	1909 წ. ღვინის მოსავალი და ფასები ამიერ კავკასიაში	4
ექიმი სემიონოვი . . . . .	თაფლი . . . . .	5
სტოდ. ვ. რცხილაძე, . . . . .	თამბაქო . . . . .	8
გრ. ცხადაძე . . . . .	ცხოველების ექლში სეკმეფის ან სხვა რამე სეკუ- ლის გაჩხიარება . . . . .	12

მასალა სამეცნიერო სიტყვათ-კრებულის შესადგენი . . . . . 14

### საყურადღებო ცნობები:

კვერცხის საგზად ჩასაწეობი ყუთები . . . . .	14
ძხვლად ჩამოსარეცხი სადებავი . . . . .	15
ცხენის ჩლიქის მოვლა კვიცობაში . . . . .	16

# სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი შიკებისა:—  
პ. აკერეინისა, ა. აფხაზისა, აგრიკოლისი, ვ. ახოშვილისა, ვ. ახლამესი ლ. გოგნიევისა, გ. გულბათიშვილისა, დ. გორთაშაშვილისა, შ. დედაბრიშვილისა, ელექცი, ზ. ელილაშვილისა, მ. ზაალიშვილისა, ა. თამაშვილისა, ე. იოსელიანისა, დ. კანჩერისა, ე. კარბელაშვილისა, პ. ლორთქიფანიძისი, დ. შიღვიანისა, ს. მგალობლიშვილისა, მ. მაღალაშვილისა, ნ. მაკარაშვილისა, ვ. შქეღლიშვილისა, მ. მამულაშვილისა, გ. ნახუცრიშვილისა, ც. ნ., ი. პაატაშვილისა, ვ. რცხილაძისი, მ. სემიონოვისა, პროფ. ა. ფორცხუაშვილისა, ვ. შ — ელისა, ი. წინამძღვარიშვილისა, ს. ხუნდაძისი, ე. ხრამელაშვილისა, მ. ჯანაშვილისა, ი. ჯორჯაძისი და რამდენიმე წერილი ხელმოუწერელი.

რედაქცია მოელის სხვებიდანაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

რედაქციასთან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს კოლეგია, რომლის კომპეტენცია რედაქციას სავალდებულოა აქვს თავისთვის მიღებული იმ იმედით, რომ გარემოება იგი ერთის მხრით გამბედაობასა და სიმშვიდეს მისცემს შრომაში ყველა იმათ, ვინც ქალაქ გარედ სცხოვრობენ და არ შეუძლიანთ რედაქციასთან პირისპირ შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს მხრით მისცემს ქართულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

**კოლეგიაში ჯერხანობით მოწვეულ არიან:** გოგებაშვილი ი., სარაჯიშვილი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ., ჯაბადარი ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი შ., ლამბაშიძე ვ., აღლაძე ი., გულისაშვილი მ.

## თანამშრომელთა საჭურაღმგოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწავროს და შეამოკლოს. წერილები და კორექსონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნაგასაღებაში.

**განცხადებები** დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**. წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწეროლებს **საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თესლეულობა** სხვადასხვა სამეურნეო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწეროლებს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

**ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.**

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ი. რცხილაძე**

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ვისაც ჟურნალის წლიური ფასი სრულად არ აქვთ შემოტანილი შემოიტანონ, რომ ჟურნალის შემდეგი ნომრები თავის დროზე გაეგზავნათ.

## ვაზის გაფურჩქნა

მოახლოვდა დრო ვაზის გაფურჩქნისა. ეს სამუშაო არც ძნელი მისახვედრია და არც ძნელი გასაკეთებელი, მაგრამ ძალიან სასარგებლო და საჭირო კია ვენახისათვის. ვინც ვაზის გასხვლა იცის, ის ამ საქმესაც კარგა შეასრულებს.

გაზაფხულზე, ასე აპრილის დამლევს ან მაისის პირველ რიცხვებში, როცა ნორჩ ყლორტებს ვაზისას პირველი კავი გამოაჩნდებათ, შეუდგებით გამოუსადეგარ ყლორტების ჩამოცლას.

უსარგებლო ყლორტი ასე იცნობა: მიდით ვაზთან როცა მას 4—5 ფოთლიანი ყლორტები ასხია, დააკვირდით ყველა მომავალ რქებს და ადვილად დაინახავთ, რომ ზოგ მათგანს მტევანი კოკრად აბია, ზოგს კი ყურძენი სრულიად არ უჩანს და მტევნის მამაგივრად კავი გამოუტანია.

პირველ გვარ რქაზედ მტევანს ყოველთვის პირველი კავის ადგილი უჭირავს, მეორეებზე კი ყლორტზედ პირველადვე კავია ამოსული. ეს მეორე გვარი ყლორტები წელს ყურძენს აღარ დაიხსამენ.

მაშ ასე უნდა მოვიქცეთ.

1) გაფურჩქნას დავიწყებთ როცა ყლორტს 4—5 ფოთოლი უკვე აქვს გამოტანილი და პირველი კავი გამოჩენილი.

2) მტევნიან ყლორტებს ყველას შევარჩენთ.

3) ნეკათ გასხლულ რქაზედ დავტოვებთ ორ ყლორტს—სულ ერთია—იქნება მათზედ ნაყოფი თუ არა.

4) სანაყოფეთ ნასხლავ რქებზედ შევარჩენთ ნაყოფიანს, ესე იგი მტევნიან ყლორტებს და უნაყოფოს კი შევაცლით. ამ დროს ნორჩი ყლორტი ადვილი მოსაშორებელია: ჩამოსწევთ ჩამოვარდება.

5) შეიძლება საკავებელზედ ანუ სანაყოფო რქაზედ სულ უნაყოფო ყლორტები ებას. ამ შემთხვევაში ორში ერთს ან სამში ერთს შევაცლით, რადგან სულ რომ მოვაშოროთ, დედა ვაზს ფოთოლი დააკლდება და ვაზი დასუსტდება.

6) გაფურჩქნა პირველ შეწამლამდე უნდა გათავდეს, წამალი ნაკლებიც დაგვეხარჯება და ყველგან თანაბრათაც დაუვლის.

წესზედ და დროზედ ნაფურჩქნი ვენახი საუკეთესო მოსავალსაც იძლევა და რქასაც მშვენივრად იზრდის.

თუ ვაზი ძალიან მაღლა არის დამდგარი და გვინდა მომავალ გასხვლის დროს მისი დაბლა დაწევა, იმ შემთხვევაში ვაზის ღეროზედ შემთხვევით ამოსულ ყლორტებიდან დავტოვებთ ერთს ან ორს, რომლებსაც უფრო სასურველი ალაგი უჭირავთ.

ღეროზედ ამოსული სხვა ყლორტები ვაზს უნდა ჩამოშორდნენ.

ს. ხუნდაძე



# 1909 წ. ღვინის მოსავალი და ფასები აზიურ კავკასიაში

(კორესპონდენტებისაგან მიღებულ ცნობებით მათი საკუთარი ვენახების შესახებ)

გუბერნია და მაზრა.	კორესპონდენტების რიცხვი.	დესტინაზე რამდენი გამოსვლიათ საშუალოდ.	როგორ გაუყიდნიათ თითო ვედრა ღვინო.	1908 წელს როგორ იყიდებოდა.	10 წლის წინეთ რა ფასები იყო ვედრაზე.
<b>ტფილისის გუბერნია.</b>					
გორის მაზრა. ....	10 კორ.	168 ვედ.	145 კაპ.	150 კაპ.	182 კაპ.
დუშეთის " . . . . .	4 " "	53 " "	131 " "	103 " "	180 " "
სიღნაღის " . . . . .	2 " "	208 " "	135 " "	65 " "	160 " "
თელავის " . . . . .	7 " "	140 " "	166 " "	124 " "	244 " "
ტფილისის " . . . . .	2 " "	116 " "	133 " "	123 " "	173 " "
თიონეთის " . . . . .	1 " "	90 " "	120 " "	80 " "	140 " "
<b>საშუალოდ. ....</b>		<b>129</b>	<b>138</b>	<b>108</b>	<b>130</b>
<b>ჭუთაისის გუბერნია.</b>					
ზუგდიდის მაზრა. ....	5 კორ.	148 ვედ.	111 კაპ.	94 კაპ.	57 კაპ.
ლეჩხუმისა " . . . . .	3 " "	67 " "	200 " "	207 " "	135 " "
ქუთაისისა " . . . . .	9 " "	226 " "	188 " "	126 " "	169 " "
ოზურგეთისა " . . . . .	10 " "	191 " "	161 " "	146 " "	136 " "
სენაკისა " . . . . .	1 " "	539 " "	200 " "	180 " "	100 " "
შორაპნისა " . . . . .	14 " "	178 " "	159 " "	128 " "	213 " "
რაჭისა " . . . . .	2 " "	40 " "	450 " "	350 " "	200 " "
<b>საშუალოდ. ....</b>		<b>198</b>	<b>210</b>	<b>176</b>	<b>144</b>
<b>მკაველის გუბერნია.</b>					
ნახიჩევანის მაზრა. ....	9 კორ.	224 ვედ.	97 კაპ.	96 კაპ.	107 კაპ.
შარურო-დარალაგეზ. . .	2 " "	250 " "	165 " "	165 " "	165 " "
ეჩმიადინის მაზრა. ....	3 " "	110 " "	80 " "	70 " "	115 " "
ერევნის " . . . . .	9 " "	264 " "	67 " "	65 " "	82 " "
<b>საშუალოდ. ....</b>		<b>212</b>	<b>102</b>	<b>99</b>	<b>117</b>
<b>ბანჯის გუბერნია.</b>					
არეშის მაზრა . . . . .	1 კორ.	120 ვედ.	80 კაპ.	75 კაპ.	120 კაპ.
განჯის " . . . . .	3 " "	137 " "	115 " "	117 " "	80 " "
ზანგეზურის " . . . . .	2 " "	70 " "	125 " "	125 " "	110 " "
კარიაგინის " . . . . .	1 " "	106 " "	30 " "	25 " "	15 " "
<b>საშუალოდ. ....</b>		<b>108</b>	<b>88</b>	<b>86</b>	<b>81</b>
<b>ბაქოს გუბერნია.</b>					
ყუბის მაზრა . . . . .	1 კორ.	125 ვედ.	150 კაპ.	175 კაპ.	275 კაპ.
ლენკორანის " . . . . .	4 " "	199 " "	111 " "	114 " "	127 " "
შემახა " . . . . .	3 " "	202 " "	93 " "	65 " "	183 " "
<b>საშუალოდ ..</b>		<b>175</b>	<b>118</b>	<b>118</b>	<b>195</b>

თუმცა მართალია რიცხვი ცნობების რეღია, თუმცა მათ შორის შეიძლება მომწვედელი კორესპონდენტებისა მცირე არ იყვნენ ისეთი მემამულენი, რომე-

ლნიც განსაკუთრებით ვენახის შემოსავლით ცხოვრობენ და ამიტომ მოვლა-პატრონობა მათი ვენახებისა საშუალო იყოს და არა საუკეთესო, მაგრამ მაინც ეს პატარა ნიხრი უნდა ნამდვილ და-მხასიათებელ სურათად მივიღოთ ჩვენი ხალხის აწინდელი კულტურ-ეკონომიური მდგომარეობისა.

აქედან აშკარად სჩანს, რომ 1909 წ. ღვინის საშუალო მოსავალი საქართველოს ორივე გუბერნიაში, რომელიც დესეტინაზე 163,5 ვედრას უდრის, არამც თუ საფრანგეთთან შედარებით, სადაც მევენახეობა განვითარების უმაღლეს წერტილამდეა მისული და საშუალო გამოსავალი დესეტინაზე 250—350 ვედრაზე ნაკლები არ არის ხოლმე \*), არამედ ერევნისა და ბაქოს გუბერნიებსაც კი ჩამოუტრეხება

და მხოლოდ განჯის გუბერნიაზე ცოტათი წინ მივდოლიალობთ.

ამგვარად ეს უპირველესი დარგი მაჩვენებელი კულანდელი ჩვენი მაღალი კულტურისა—განთქმული საქართველოს მევენახეობაც კი დღეს ჩვენი უკან ჩამორჩენის მლაღადებელ ნიშნად არის გარდაქცეული.

„წყალ წაღებული ხავსს ეკიდებოდაო“ ნათქვამია. ჩვენც ამნაირად ერთი-დადაგვრჩენია: ვიმედოვნოთ რომ ესეთი მცირე გამოსავალი ჩვენს ვენახებს მარტო 1909 წელს ჰქონდა და შემდეგ კი უკეთესად მოუვლით და გამოსავალიც მეტი გვექნება, თორემ, შენი მტერი, თავმოსაწონად წინ წამოსაყენებელი ნიშნად ჩვენი კულტურული განვითარებისა ჩვენს მეზობლებთანაც კი აღარაფერი აღარა გვექნება-რა.

ვ. გულბათიშვილი

## თაფლი

თაფლს მუშა ფუტკარი აკეთებს. მასალას სხვადასხვა ყვავილებიდან იღებს. ეს მასალა ყვავილის მტვერია, რომელსაც ფუტკარი ყლაპავს და კუჭში თაფლად აქცევს. ფუტკარი უფროსურნელოვან ყვავილების მტვერსა და წვეწვანს აგროვებს. ყვავილებში ამ წვეწვანს ბუნება უხვად ამზადებს.

თაფლის გასაკეთებელ მასალად ფუტკრები იღებენ აგრედვე ზოგიერთ მცენარეების ფოთლებისაგან და ტოტებისაგან გამონადენ ტკბილ წვეწვანს, აგრედვე იმ წვეწვანს, რომელიც სდის მცენარეს კანი რომ გაუჭრათ და სხვა.

ნაშოვნნი მასალით ფუტკარი გაივსება პირველ კუჭს, რომელსაც თაფლის მო-

სამზადებელი კუჭი ჰქვია, და აქ მთავროვლი ნერწყვის მზგავსი წვეწვანის ზედგავლენით გარდააკეთებს თხელ თაფლად. როცა ფუტკარი დაბრუნდება შინ, ამ თაფლს ინახავს გეჯაში, სადაც იგი სქელდება და იქცევა ჩვეულებრივ თაფლად.

თხელ თაფლს ბევრი წყალი ურევია, რომელსაც თაფლი კიდევაც შეეძლო გეეფუჭებინა რომ ფუტკარს არ ეზრუნა და შესაფერი ზომა არ ეხმარა.

ეს ზომა აი რაში მდგომარეობს: შებინდდება თუ არა ყველა ფუტკრები გროვდებიან გეჯაში და დასვენების მაგიერ იწყებენ ერთ დაუღვრომელ და დაუღალავ ფრენას. ამ ფრენაში ფუტკრები თავიანთი ფრთებით როგორც

\*) იხ. „მოსხავალი“ № 11, 1909 წ.



მარაოთი უნიავებენ თხელ თაფლს და ამოძრავებული ჰაერი აშრობს მას.

თხელი თაფლი შეიძლება ხელოვნურადაც გამოვაშროთ და გავასქელოთ. ამისათვის თხელ თაფლს იღებენ გეჯიდან და სუფთა თავახდილ ქურჭლით სდგამენ ფანჯარაში ან სადმე მზეზე.

შემოსული თაფლი დიდხანს აღარაფერ ცვლილებას აღარ განიცდის, ინახება კარგად და უფრო სასარგებლოა ადამიანის გვამისათვის, ვიდრე თხელი შემოუსვლელი თაფლი.

გეჯიდან გამოღებულ თაფლს მშვენიერი ლამაზი სანახაობა აქვს, მაგრამ ასე შენახვა მისი ძნელია: ხარჯსა და ხლათორის ბევრს თხოულობს. ფიტებში თაფლი ძალიან მალე შაქრდება ზემოდან, ფიტის უჯრები სქდებიან და თაფლი იღვრება ფიტებიდან. ეს რომ არ მოხდეს უნდა ფიტაირი თაფლი ინახებოდეს სრულიად მშრალ ჰაერში და საგანგებო სისუფთავეში.

პირიქით, გაცილებით ნაკლებ წვალებასა და ხარჯს თხოულობს თაფლის შენახვა როცა მას გამოვიღებთ ფიტებიდან.

ფიტების დასაცლელად ხმარობენ ერთგვარ სატრიალებელ, **საწკრეტ**, მაშინას, რომელშიაც თაფლი ისე იწკრიტება ფიტებიდან, რომ არც ერთი უჯრა ფიტისა არა ფუქდება, არ იხევა და უკანვე შეგვიძლიან ჩაუღოთ ფუტკარს გეჯაში, რომ თაფლის მოსაგროვებლად ფიტის გაკეთება ხელმეორედ აღარ დასჭირდეთ.

მაშინით გამოღებული ფიტებიდან შემოსული თაფლი ინახება ცაცხვის კასრებში ან მუხის ბოჩკებში, რომლებსაც პირი ისე უნდა მოეკრათ, რომ ჰაერი აღარსაიდან აღარ მიუღდეს

თაფლს. ამ კასრებს ან ბოჩკებს თაფლით სდგამენ გრილსა და სრულიად მშრალს სარდაფებში.

თუ თაფლი ჯერ შემოუსვლელია უნდა თავახდილი, ზემოდამ ტილო გადაფარებული კასრებით დაიდგას გრილსა და სრულიად მშრალს ადგილას, სანამ თაფლი **დახვრიშდება** (დაკრისტალდება). თაფლის დახვრიშება მის სისუფთავის უტყუარი ნიშანია.

უმაჯრესი შეზადგენელი მასალა თაფლისა შაქარია სხვადასხვა სახისა. მათ შორის ყველაზე ბლომად ეგრედწოდებული ყურძნის შაქარია, მასზე ნაკლებად ლერწმის შაქარი, შემდეგ უფრო ნაკლები სხვადასხვა ხილეულობის შაქარი.

ორი პირველი გვარის შაქარი ადვილად ხვრიშდება, ხოლო მესამე გვარის შაქარმა კი ძნელად იცის დახვრიშება და თითქმის სულმუდამ სითხეს წარმოადგენს.

სრულიად სუფთა თაფლს განსაკუთრებით ეს სამი გვარი შაქარი უნდა შეადგენდეს და სხვა არაფერი.

ფუტკრები ამ სუფთა თაფლს ზოგჯერ ეგრედწოდებულ **ჭიანჭველის სიმყავეს** უმატებენ ცოტას, რომ თაფლი არ აღუღდეს ან სხვანაირად არ გაფუქდეს.

ბაზრის თაფლს სხვადასხვანაირი ნივთიერებანი ურევია ყოველთვის, როგორც მაგალითად ცილანი, ეთეროვანი ზეთები და სხვა.

ცილანი ერევან თაფლს სხვადასხვა დუდიდეებისა და სხვა სოკოების წყალობით, რომელნიც მრავლად არიან მუდამ ჰაერში და ყვავილის წვენსა და მტვერს ჩაჰყვებიან ხოლმე ფუტკრის კუჭში.

სრულიად სუფთა თაფლი ძრიელ ადვილად დნება ცხელ წყალში და მასთან არაფერ ლექს არ სტოვებს ძირში. ამისთანა თაფლს რომ 95<sup>0</sup>/0-იანი სპირტი დავასხათ, მაშინაც არ გააგდებს არავითარ ლექს და არც აიმღვრევა. კართოფილის ბადაგი კი თაფლს ათერთებს და ოდნვივ შეამღვრევს.

სუფთა თაფლს სურნელოვანობა იმ ყვავილებისა აქვს ჩვეულებრივ, რომლებიდანაც მოაგროვა წვენი და მტვერი ფუტკარმა. ამასთანავე სუფთა თაფლს აქვს მშვენიერი გემოც.

როცა ძრიელ გაცხელება თაფლი მუქი ფერი ეძლევა მას და სურნელოვანობაც ეკარგება, რადგან ის ეთეროვანი ზეთები, რომელნიც სასიამოვნო სუნს აძლევდნენ, აიორთქლებენ და ქრებიან ჰაერში.

ზემოთ უკვე ვსთქვით რომ ბაზრის თაფლი სხვადასხვანაირია: 1) თაფლი ფიტიდან გამოხდილი მაშინის შემწვობით ან და თავისით გამოწკრეტილი ფიტის უჯრებიდან, 2) თაფლი დაბეჭდილი ფიტებში და სხვა. თაფლის ღირსება დამოკიდებულია ჯერ ერთი ყვავილებზე, რომლებითაც ისარგებლა ფუტკარმა; მერე ჰაეაზე, დაარამინდზე, დროზე, როდესაც კეთდებოდა თაფლი და სხვა. გაზაფხულის თაფლი ყოველთვის უფრო ლამაზი, დაწმენდილი ფერისაა, მეტად სასიამოვნო სუნი და გემო აქვს, ვიდრე შემოდგომის თაფლს, რომელიც უფრო მუქია და ნაკლებად გემრიელი.

ბაზარში ხშირად თაფლს „მონათლულს“ ყიდიან, ურევენ მას კართოფილის ბადაგს, ცარცს, გიპსს, თიხას და სხვა.

უსუფთაო თაფლი ადვილი ამოსაცნობია. როცა თაფლს „ნათლავენ“, უნდა გააცხელონ, რომ რასაც ურევენ კარგა გაუჯდეს. ამ გაცხელებაში თაფლი თავის მშვენიერ სუნსა კარგავს. გარდა ამისა სრულიად სუფთა თაფლი ადვილად დნება-იშლება ცხელ წყალში, „მონათლული“ კი გაცხელებაში სქელდება და რაც გადარეული ქონდა ის ძირს ლექად რჩება. თუ ფქვილი აქვს თაფლს გადარეული, მაშინ თაფლი თეთრია არა ჩვეულებრივ. თუ კართოფილის ბადაგი გადაურიეს, არყის მძიმე სუნი ეძლევა. სუფთა თაფლის 87<sup>0</sup>/0-ს ისეთი შაქარი შეადგენს, რომელსაც მშვენივრად ინელებს ადამიანის გვამი.

თაფლი ბერვრნაირად იხმარება. თაფლში შედიან სხვადასხვა ნაირი სურნელოვანი ნივთიერებანი და სიმჟავეები, რომელთაზედაც ფიქრობენ რომ მათ ნერვების გამაგრებაც შეუძლიან და დიზინფექციის თვისებაც აქვთო და სხვა.

ძველ დროში თაფლს ბევრ სხვა თვისებასაც აწერდნენ. ეგონათ რომ სიბერისაგან დავარდნილი, დაჯანდაგებული ადამიანის გაჯეილებაც კი შეუძლიან თაფლს.

ექიმი დუბინის აზრით ნერწყვის ჯირკვლები თაფლის სურნელოვან ნივთიერებების ზედმოქმედებით უფრო მეტს ნერწყვს ამზადებენ, რაც, ცხადია, კეთილად უნდა მოქმედობდეს საკმლის მოხარშვა-მონელებაზე. დუბინის ფიქრით თაფლის სიმჟავე ადამიანის კუჭში უერთდება იქ მყოფ სხვა სიმჟავეებს და ეს შეზავებული სიმჟავეები იცავენ მოსახარშ ნივთიერებებს გახრწნა-დაღობისაგან და ადუღებისაგან.



თაფლის უმთავრესი ფიზიოლოგიური ზედმოქმედება ადამიანის სხეულზე იმაში მდგომარეობს, რომ თაფლის სიტკბო შემუშავებული ღვიძლით გადადის სისხლში და იხარჯება სხეულის სითბოს გამოწვევაზე.

ხალხი თაფლს ხმარობს წამლადაც. მაგ., ბავშვების სისხლ-ნაკლებობის და ყვითას წინააღმდეგ.

ექიმები თაფლს უწერენ ავადმყოფს კუჭის გასაწმენდად, ხველების დასაყენებლად, ხმელი ნახველის დასარბილებლად და ამოსაღებათ. კარგა

მყოფ ადამიანსაც ურჩევენ თაფლის ჭამას ცოტ-ცოტაობით.

ზოგი ვერ იტანს თაფლს. რო სჭამს კანზე რაღაც წითელ ხორხოშელას აყრის, მაგრამ ეს სიწითლე თავისთავად გაივლის ხოლმე და უვნებლად ქრება.

უფრო ბლომათ თაფლი სხვადასხვა ტკბილეულ სასმელების მომზადებაზე იხარჯება, რომელთაც არც არა ვნება მოაქვს ადამიანის სხეულისათვის და სიამოვნებითაც სვამენ, მეტადრე რუსეთში და პოლონეთში.

**ექიმი სემიონოვი**

# ტ ა მ ბ ა ქ ო

(ა. კრილოვი, ედუარდ ხრისტი, აგრონომი დიმიტრიევი და „მრეწველობა და ტექნიკა“ ბროგკაუზ ეფრონის მე-IV წიგნი).

პურის და სხვა ხორბლეულის მოუსაველობისა გამო ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება მიიქცია თამბაქოს წარმოებაში. ეს წარმოება სხვაზედ უფრო კარგად აჯილდოებს მწარმოებელს. ჯილდო იგი მით მეტია, რაც უფრო მწარმოებელი დახელოვნებულია ამ საქმეში. მაგრამ ვაი იმ მწარმოებელს, რომელმაც არ იცის რაში მდგომარეობს ეს წარმოება და მოჰკიდებს მას ხელს. თამბაქოს არა ერთი მწარმოებელის კაპიტალები შთაუნთქავეს. დღეს თამბაქოს წარმოება საერთაშორისო წარმოებას ეკუთვნის. ამიტომ ურიგო არ იქნება მოკლეთ მაინც შევეხოთ მის ისტორიას.

## ა) ისტორიული მიმოხილვა წარმოებისა

როდესაც წარმოების ისტორიას ვე-

ხებით თავდაპირველად უნდა ვიკითხოთ: სად და ვინ შემოიღო თამბაქო?

ისტორია მოგვითხრობს, რომ როდესაც კოლუმბი ყუბაზედ მივიდა თავის მოგზაურობის დროს, ნახა რომ აქ გამხმარ დახვეულ ფოთლებს, რომელსაც ეძახდენ „თამბაქო“-ს (tabaco), ეწოდნენ. 1496 წ. ბერმა რომანოზ პანომ, რომელმაც ევროპას გააცნო პირველად ინდოელების ზნე-ჩვეულება, სხვათაშორის სთქვა: „ინდოელები ეწევიან დახვეულს გამხმარს კომბოსტოს ფოთოლსო“.

პირველ ხანებში თამბაქოს ხმარობდნენ ევროპაში წამლად. ჩვენში ახლაც კი არიან ჯანაოზ-ექიმები, რომელნიც კრილობის წინააღმდეგ, თამბაქოს ხმარობენ. როგორც ისტორია გადმოგვცემს თამბაქოს წვევა პირველად შემოიღო ინგლისელმა მეზღვაურმა, გამოჩენილმა მოღვაწემ ვალტერ რალიმ (Raleigh). მალე ეს ჩვეულება ისე განვითარდა, რომ საჭირო შეიქმნა თამბა-



ქოს კულტურა. ამის ზედ მოჰყვა თამბაქოს სხვა ნაირად ხმარებაც: ღეჭვა და ყნოსვა (ბურნუთი). პირველად თამბაქო 1558 წ. დათესეს საცდელად პორტუგალიაში. გოლანდიაში, რომელსაც მე-XVII საუკუნეში ერთი უპირველესთაგანი ადგილი ეკირა სანტა-შარისო წარმოებაში, 1615 წ. უკვე შესამჩნევი პლანტაციები იყო თამბაქოსი და დღესაც განთქმულია იქაური თამბაქო, ეგრედწოდებული „ამერსფროტის თამბაქო“. 1848 წლამდის თამბაქოს მოწვევა გერმანიაში აკრძალული იყო. იაკობ I თვითონ დასწერა თამბაქოს ხმარების წინააღმდეგ «Misocapnos», პორტუგალიელმა იეზუიტებმა კიდე მის საწინააღმდეგოთ «Antimisocapnos» გამოსცეს. ამით რომ ვერაფერი გააწყო იაკობ I-მა, ბაჟი დაადვა თამბაქოს და ამგვარად იგი შეიქმნა ბაჟის პირველი შემომდები. რუსეთში 1634 წელს იყო გამოცემული ბრძანება, რომლის ძალით ვინც თამბაქოს წვედნენ ცხვირებს აჭრიდნენ, ასახიჩრებდნენ და ციმიბირში გზავნიდნენ. არ მოიპოვება არცერთი სახელმწიფო, რომლის ძველ კანონმდებლობაში თამბაქოს საწინააღმდეგო მუხლები არ იყოს შეტანილი. მიუხედავად ამისა თამბაქოს ხმარება ვრცელდება, ძლიერდება და წარმოება ფართოვდება. თუმცა თამბაქოს ხმარებას ზარალი მოაქვს ადამიანისთვის, მაგრამ ბევრი იმ აზრისაა, რომ სარგებლობასაც ხედავს მასში ადამიანი.

ესლა თამბაქოს ხმარება ყველა სახელმწიფოში არის გავრცელებული და ყველა მათგანი დიდათაც სარგებლობს ამ წარმოებით.

რადგან თამბაქოს ღირსება მის ფოთოლზეა დამოკიდებული ანუ უფრო უკეთ რომ ვთქვათ იმ ქიმიურ პროცესებზე, რომელნიც თამბაქოს ფოთოლში ხდება, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ შევეხო თამბაქოს ფოთლის ქიმიურ შედგენილებას.

### ბ. თამბაქოს ქიმიური შედგენილობა

მშრალი ნაწილი თამბაქოს ფოთლისა შეადგენს წონით მხოლოდ 12—15<sup>0</sup>/<sub>100</sub>. როცა თამბაქო სიმწიფეში შედის ნიკოტინი და ნაცარი მასში კლებულობენ. პროფესორი კენიგის გამოკვლევით თამბაქოში არიან შემდეგი ელემენტები:

მინიმუმი	მაქსიმუმი	საშუალო	
N . . . . .	2,25	8,16	4,01
ნიკოტინი . .	0	3,73	1,32
NH <sub>3</sub> . . . . .	0,06	1,82	0,57
HNO <sub>3</sub> . . . . .	0,07	0,96	0,49
KNO <sub>3</sub> . . . . .		3,38	1,08
სიმსუქნე . . .	1,81	9,8	4,32
ნაცარი . . . .	19,04	27,90	22,81
K . . . . .	1,81	6,25	3,29
Na . . . . .	0	1,10	0,49
K <sub>2</sub> CO <sub>3</sub> . . . . .	0,05	5,21	1,96
CaCO <sub>3</sub> . . . . .	9,70	20,80	15,05

როგორც ამ ნიხრიდანა სჩანს თამბაქო არის ერთი იმ მცენარეთაგანი, რომელშიაც ბლომათ არის აზოტი. ხოლო რამდენადაც მეტია თამბაქოს ფურცლებში ცილა, იმდენად თამბაქო დაბალი ხარისხისაა. გემო და სუნი დამოკიდებულია ლიმონისა და ვაშლის სიმჟავეებზე, რომელნიც თამბაქოში არიან 10—14<sup>0</sup>/<sub>100</sub>.

## გ. დამუშავება თამბაქოსი

### 1. ადგილის მდებარეობა

მკოდნენი გვეუბნებიან, რომ თამბაქოსთვის საჭიროა ნეშომპალ ნარევი ქვიშნარი, ან თიხა ნარევი აყალო მიწა. თუმცა ქვიშნარ ნიადაგზედაც მოდის თამბაქო, მაგრამ ეს მაშინ მხოლოდ, როდესაც ზაფხული წვიმიანია. სასუქად უნდა იხმარებოდეს საქონლის ძველი ნეხვი. ხოლო გამოცდილები ამტკიცებენ, რომ ძროხის ნეხვი ცუდს ფერს აძლევს თამბაქოს ფოთლებს. მიზეზი ამისი ჯერ არ არის გამოკვლეული. სასუქად ნაცარიც უხმარიათ საცდელად და მშვენიერი შედეგი მიუღიათ. მხოლოდ ნაცრის მისაღებად უნდა ფიზიხი იქვე ახლოს დაიწვას და ნაცარი ნელთბილი მიეყაროს რაც შეეხება ადგილის მდებარეობას, იგი უნდა იყოს ვაკე ყუდრო ადგილი, რომ თამბაქო არც ქარმა წააქციოს და მზეც პირდაპირ უყურებდეს მას კარგი სურნელოვანობის მისაცემად.

### 2. ნიადაგის დამუშავება

რაც შეეხება მიწის დამუშავებას თამბაქოს პლანტაციებისთვის, სპეციალისტები, როგორც კრილოვი, კოლონისტი ედუარდ ხრისტი და აგრონომი დიმიტრიევი ამტკიცებენ, რომ მიწა უნდა ღრმად მოიხნას, ძლიერ დაიფხვანას და სრულიად გაიწმინდოს სხვადასხვა ბალახების კლერტებისაგან. ამისათვის საჭიროა მიწა ორჯერ ანუ სამჯერ მოიხნას. ხოლო თუ ნიადაგი ქვიშნარია, მაშინ ერთხელ მოხვნაც საკმარისი იქნება. მიწა უნდა მოიხნას შემოდგომაზე და ზამთარი ასე იყვეს. გაზაფხულზე ერთხელ გადაიხვნება და

ნიადაგი მზად არის თამბაქოს გადასარგავად. მხოლოდ ყოველი პლანტაცია უნდა დაიყვეს ნაწილ-ნაწილ გზებით, რომ ურემმა თავისუფლად გაიაროს როგორც დარგვის დროს ისე მოკრეფაში.

### 3. ნერგის მომზადება

რაც გინდა კარგად დამზადდეს პლანტაცია, როგორი სიფაგიზითაც გინდა დამუშავდეს იგი, თამბაქოს მოსავლიანობა ამით უზრუნველყოფილი მაინც არ იქნება, თუ დამუშავებელმა პლანტატორმა არ იცის, როგორ გაზარდოს თამბაქო გადარგვამდე. თამბაქოს გასაზრდელად ხმარობენ ღია ყუთებს. გაკეთება ამ ყუთებისა ძლიერ ადვილიც არის, იაფიც ჯდება და არც მასალაა მემამულესთვის ძნელი საშოვარი. ბაღში ან ეზოში, მიყუდროებულ ადგილზე, სადაც ქარი არ უბერავს დასდებენ ქვებზე რამდენიმე კუნძს აგრე ნახევარ არშინის სიმაღლეზე და დააფენენ ზედ ფიცრებს. სივანე ამ იატაკისა უნდა ცოტათი აღემატებოდეს ორს არშინს. გვერდებზე მიეკვრის ფიცრისვე ჩარჩო. ამგვარ ყუთში ჩაყრიან ბუე-ნარევი ნეხვს და დააყრიან ზედ 3—4 გოჯის სიმაღლეზედ გაფხვიერებულ ბალის მიწას. თამბაქო ითესება როდესაც მიწა დაჯდება. თესლი ერთ დღიურს უნდება არა ნაკლებ 10 მისხლისა. დათესვა ხდება ხელით. თესლი წინდაწინ უნდა ქვიშას აერიოს. ზოგნი თესვაში საცერს ხმარობენ, რომ თესლი თანასწორად მოეფინოს მთელ ადგილს. თესლსა და თესლს შორის უნდა იყოს დარჩენილი ადგილი ერთი მესამედი გოჯი მაინც, დასათეს ადგილზე ნაცარი რომ გაიშალოს კარგი იქნება. თესლი რომ დაითესება ზემოდან უნდა საცერ-

ში გატარებული მიწა წაეფინოს და მოირწყას მაშინვე. შემდეგ მორწყვა დღე გამოშვებით უნდა. სანამ თესლი იხეირებს და ყლორტს ამოიტანს, ყუთი უნდა დახურული იყოს კილობით. როგორც კი ამოვა ყლორტები, უნდა ყუთს გადაეხადოს პირი და მალ-მალ მოირწყას. მოსარწყავი წყალი რომ მზეზე იყოს ნადგამი კარგია. თუ ღამიანობით ცივა, ყუთებს კილობები უნდა დაეხუროს. თუ ბალახი ამოვიდა, უნდა გაიმარგლოს და გაცრილი ნაცარი მიეყაროს ამონაგლეჯადგილებს. თამბაქოს ნერგების გასახდელად **საღუმლეებს** აკეთებენ იმ ვარაუდით, რომ ერთ კვ. არშ. ადგილზე საღუმლეში იმდენი ნერგი დასტიონ, რამდენიც 40 კვ. საჟ. ადგილზე დაირგვება პლანტაციაში. თუ საღუმლესათვის ამოთხრილი ადგილი არ იქერს ნესტს, უნდა ცოტა უფრო ღრმად ამოთხაროს, ჩაიყაროს შიგ ნავავი, გაიძეკოს ჩალით ან ბზით და მოეყაროს ზედ პატივი. თესლი ითესება სანერგეთებერვლის გასულს ან მარტის პირველ რიცხვებში.

#### 4. ნერგის გადარგვა პლანტაციაში

როგორც ზევით ვსთქვით პლანტაცია იყოფა კვლებათ, რომელნიც უნდა ერთიერთმანეთიდან დაშორებულნი იყვნენ ერთ საჟენზე, სიგანე უნდა ჰქონდეს კვალს 5 საჟენი და სიგძე 60 საჟ. სანერგედან გადარგვა ხდება მაშინ, როდესაც ნერგი 2,5 გოჯი გაიზრდება და 5—8 ფოთოლს გამოიტანს. გადარგვისთვის სარგებლობენ ღრუბლიან დღით ან იღებენ საღამოთი. მზიან დღეში ქორთა ნერგი ქენება და ფუქდება. გინდაც რომ იხეიროს ნერგმა, თამბაქო მაინც დაბალი ღირსებისა გამოდის.

ნერგი გადასარგავად უნდა ამოღებული იქმნეს იმდენი, რამდენიც შესაძლებელია მაშინვე ჩაირგას. ამასთან ნერგი უნდა ამოიღებოდეს დიდის მოწინებით, რომ ქორთა ფესვები არ გაუფუქდეს. კარგი იქნება ამოღების წინ მოირწყოს ნერგები. ხელით მუშაობა არ არის ისე საიმედო, როგორც ამ შემთხვევაში სახმარი ჩანგლები. ნერგს უნდა უეჭველად შეჰყვეს თავისი მიწა, რომ არ იგრძნოს ნიადაგის გამოცვლა. ნერგები უნდა დაირგას იგივე სიმაღლეზედ და ყური ეგდოს, ფესვები ჩარგვის დროს არ მოიკაკენენ. მუშაობა საზოგადოდ უნდა სწარმოებდეს სწრაფად. ამისათვის ერთმა უნდა დააღაგოს ნერგები ორმოებთან, მეორემ ჩარგას და მორწყას. რომ მორწყვა ნაკლებჯერ მოუხდეს, ხშირად წყალს ორმოებშიაც ასხავენ.

#### 5. გადარგული ნერგების მოვლა

როდესაც ნერგები ჩაირგა, თვალყური უნდა ვადევნოთ და რომელი ნერგიც გაუფუჭებული იქნება გამოვცვალოთ ახალზე. ასე 14 ან 17 დღის შემდეგ, როდესაც ნერგი მოიმატებს ასე 4 გოჯს, უნდა რიგებ შუა გადინხას ნიადაგი ისე კი რომ ფესვები არ დაზიანდეს და არც მიწა მიეყაროს ნერგებს. როდესაც 10 გოჯამდე გაიზრდება ნერგი, უნდა მიწა შემოეკოკოს. ამ მუშაობის თავთავის დროს შესრულებაზე და სიფაქიზეზე არის მთლად დამოკიდებული მოსავლიანობა. პირველ შეკოკებაზე უნდა მიწა მიეყაროს პირველ ფოთლამდის. მეორე ჯერ კი უნდა დაიმალოს ძირითა ორი ფოთოლი, რომ ნერგი ვამაგრდეს მიწაში. შემოკოკება უნდა გამეორდეს დრო გამოშვებით. ზოგნი უკოკებენ



ყოველთვე, თუმცა ეს ხშირად შემოკლება არც საჭიროა და არც სასარგებლო. ამის შემდეგ მოსავლიანობა სავსებით დამოკიდებულია მორწყვაზე და მავნე ქია-მატლების გაწმენდაზე. არავითარი რადიკალური წამლობა არაა აღმოჩენილი ჯერ ამ ქია-მატლთ წინააღმდეგ გარდა იმისა რომ უნდა ხელით შეგროვდეს და დაიფლიტოს.

მცენარეს უნდა გვერდითა ყლორტები და ყვავილიანი წვეროები მოემტვრიოს მაშინ, როდესაც შუა შტოზედ გამოჩნდებიან კვირტები. უფრო კარგი იქნება თუ რომ წვეროებს 2 გოჯ ქვევით მოვამტვრევთ. პრაქტიკით მიღებულია რომ თითო ბუჩქს უნდა ქონდეს არა უმეტეს 10 — 18 ფოთლისა, თუმცა ეს დამოკიდებულია ნიადაგზე და ჰავაზე.

ჩვენში, ჩემის აზრით, ნორმათ შეიძლება მიღებულ იქმნეს 15 — 16 ფოთლი როცა წვეროების მომტვრევა გვიანდა, უნდა ორ კვალ შუა ჩავდგეთ და ერთს და იმავე დროს ვამტვრიოთ მარცხნივაც და მარჯვნივაც სალოკი თითითა და ცერით. მუშაობა არ

უნდა ხდებოდეს წვიმის შემდეგ მაშინვე, სანამ გაშრება ფოთოლი, რადგან ნესტიანი ფოთლები ჟანგდებიან და ადვილად ფუჭდებიან. შემდეგ მოსავლის ღირსება და სიძვირფასე დამოკიდებულია გერების მოშორებაზე (пачнирование). 7—10 დღის შემდეგ, როდესაც წვეროებს მოამტვრევთ, შტოებზე თითქმის ყოველ ფოთოლთან გამოჩნდებიან ეგრედწოდებული გერები, რომელნიც ძლიერ უშლიან თამბაქოს დამწიფებასაც და ღირსების მომატებასაც. ამიტომ ეს გერები გამოჩნდებიან თუ არა, უნდა მაშინვე განდევნილ იქმნენ. რამდენჯერ იქნება საჭირო ამ გერების ართმევა ამისი თქმა წინადადეგ ძნელია, რადგან მათი ამოსვლა-გამრავლება დამოკიდებულია ამინდზე. მშრალ ამინდში გერები ჩნდებიან ნაკლებად, წვიმიანში — მეტად. მაინცა და მაინც შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეს მუშაობა ერთი ექვსჯერ მაინც იქნება საჭირო მოსავლის ჩაკლებამდე, თუ მეტჯერ არა.

**სტუდ. ვ. რცხილაძე**

(გაგრძელება იქნება)

**სოფლის მეურნეობის საჭმელის ან სხვა რამე სხეულის გაჩხიარება**

შინაურ ცხოველებს ზოგჯერ საჭმელი ან სხვა რამე სხეული გაეჩხიარებათ ხოლმე ყელში. მაგალითად ქარხალი, კართოფილი, სტაფილო, სიმინდის ტარო, თივა, ხორცის ნაჭერი, კვერცხი, მჩვარი, ძვალი და სხვა.

ყელი საყლაპავთან, მკერდში შესავალთან და მკერდიდან მუცელში გასავალთან ცოტათი უფრო ვიწროა და გაჩხიარული სხეულიც ერთ-ერთ ამ ვიწრო ადგილთან არის ხოლმე გაჩხიარებული.

ასეთ შემთხვევაში ცხოველი სდგას კისერ წაწვდილი, შეშინებული სახე

აქვს, პირში ქაფიანი ნერწყვი უგროვდება, ახველებს, ველარცა სჭამს და სვამს და გულის რევა მოსდის. მცოხნავი საქონელი ნაცოხნს ველარ იღებს და მუცელი ებერება. თუ გაჩხიარული სხეული ყელის იმ ნაწილშია, რომელიც კისერში მდებარეობს, მაშინ იგი გარედანაც შეემჩნევა ცხოველს: კისერზედ გამობერილი ადგილი ექნება; შევამჩნევთ მას აგრეთვე გარედან ხელის შეხებითაც.

**მიზეზი.** საჭმელი შეიძლება გაეჩხიროს ცხოველს ყელში ჩქარი და ხარბი ჭამით. მაგალითად როცა ცხოველი

დიდის ხნის ნამშვერა ან როცა მას სხვა ცხოველთან ერთად მისცემენ საკმელს. მაშინ იგი დახარბებით სკამს, ჩქარობს, საკმელს დაუნერწყევას და დაუღეჭელს ყლაპავს და საკმელი ყელზედ ადგება.

ამის გარდა ცხოველს შეიძლება მაშინაც დაადგეს ყელზე საკმელი, როცა ჭამის დროს მოულოდნელად შეკრთება ან შეშინდება. მსხვილფეხა საქონლებს უმეტეს ნაწილად მრგვალი ან გაღვსილი საკვები ადგებათ ყელზე. მაგალითად კართოფილი, ქარხალი, სიმინდის ტარო; ნესვის, საზამთროს ან კვანის ნაჭერი და სხვა. ასეთი საკმელი, თუ წვრილად არ დაიჩეხა და ისე არ მიეცა ცხოველს, ძნელი დასაღეჭი იქნება და ცხოველი მას, ბევრი წვალების მერმეთ, მოთმინებიდან გამოსული, დაუღეჭავს ყლაპავს, ან და თვით საკმელი გადაუსხლტება ხოლმე ყელში.

ძვალი, ლურსმანი, მჩვარი, ნაფოტი და სხვა ასეთი მოუნელებელი სხეული შეიძლება საკმელში ჩაყვეს ცხოველს ჭამის დროს ან და ზოგიერთი ნერვებით ავადმყოფობის დროს თვით ცხოველმა შეიძლება გადაყლაპოს.

**ექიმობა.** თუ გაჩნდილი სხეული ყელის იმ ნაწილშია, რომელიც კისერში მდებარეობს, მაშინ უნდა ვეცადნეთ იგი უკანვე, ე. ი. საყლაპავისაკენ გამოვაბრუნოთ. ამისათვის ჯერ ჩავასხამთ ცხოველს ყელში ერთ სტაქან საკმელ ზეთს, ან ზეთუნის ზეთს, ან კასტორის ზეთს. მერე გარედან კისერზედ მოვწახავთ, თუ რა ადგილასაა გაჩერებული ყელში გაჩნდილი სხეული და ნელ-ნელა წამოვაწევებით თითებით უკანიდან საყლაპავისაკენ; მერმე დავადებინებთ ცხოველს ფართოდ პირს, ენას გამოუ-

წვეთ გარედ, ჩავუყობთ შიგ ხელს და ამოვიღებთ. \*)

თუ გაჩნდილი სხეული რბილირამ არის, მაგ. მოხარშული კვერცხი, პურის ნაჭერი და სხვა, მაშინ მისი უკან გამობრუნება საჭირო აღარ იქნება. შეიძლება გარედან ხელით დავსრისოთ-დავშალოთ ყელშივე ისე, რომ ცხოველს ჩაუვიდეს კუჭში.

თუ გაჩნდილი სხეული ყელის იმ ნაწილშია, რომელიც მკერდში მდებარეობს, მაშინ ხელით ვეღარ მივუდგებთ, ვეღარც უკან გამოასაბრუნებლად და ვეღარც დასანაწილებლად. ამიტომ უნდა ვეცადოთ კუჭისაკენ მაინც გადავატანიოთ. ამისათვის ხმარობენ საგანგებო იარაღს, რომელსაც „ზონდს“ უწოდებენ. ჩვენ მის მაგიერ შეგვიძლიან ხის მოქნილი ჯოხი ვიხმაროთ. მაგ. ფურცლის ან ბროწეულის ან თხილის ნედლი წნელი ძლიერ კარგი იქნება ამ საჭიროებისათვის (ზონდიც ვგრეთვე მოქნილი ჯოხია, ხოლო ხისა არ არის) ჯოხს გავასუფთავებთ კარგათ, რომ გვერდებზედ ხიწვები არ დარჩეს, თორემ ყელს ქრილობებს მისცემს; ცალ თავზედ ბამბას შემოვაფენთ და მერმეთ სუფთა მჩვარს შემოვაკრავთ ზედ მაგრად, რომ არ წასძვრეს. დავადებინებთ ცხოველს პირს ფართოდ, ჩავასხამთ ყელში რომელიმე ზევით ნაჩვენებ ზეთს, წავუსობთ ჯოხსაც გვერდებზედ ზეთს ან ქონს, ჩავუყობთ ყელში და ნელ-ნელა მივაწევებით გაჩნდილ სხეულს, რომელიც აგრეთვე ნელ-ნელა იწყებს კუჭში გადასვლას.

\*) პირი როგორ უნდა დავაჭვინოთ გაღებული, ამაზე იხ. ჩემივე წერილი ჟურ. № 2.



დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ცხოველი დიდ ტანჯვას არ განიცდის და გაგუდება არ მოელის მას, არც საჭირო იქნება ექიმობა: ორი-სამი

დღის განმავლობაში გაჩხირების ხელ-ლი ყელში დასველდება, და რბილდება და თვით გადავა კუჭში.

გრ. ცხადაძე

# მასალა სამეცნიერო სიტყვათ-კრებულის შესადგენი

## ბალახები

დაჭრილის წამალი (Digitalis)  
 დათვის ეურა (Auricula Primula)  
 დანდური  
 კახუკტი  
 ძაღლის ეურძენა (Параличная трава)  
 ენძიკა ან უტუნა (Colechicum autumnale)  
 ვარდკაჭაჭა (Melilotus)  
 ზაფრანა (Crocus sativus)  
 ზამბახი (თეთრი, ლურჯი, ყვითელი)  
 ზამბახი (შხამიანი)  
 მიმოსა  
 იკელივი (Migella sativa)  
 ჩაღუნა  
 ტერეტო  
 ტულის შირა  
 ცხვირის სატეხელა  
 ცოცხი  
 ცისკარა (Levisticum officinale)  
 ცოცხმაკარა  
 ცალ ფურცელა  
 ურტი  
 ძირიანა  
 ძირ წითელა  
 ძაღლის ენა  
 ძუძუ-მაევალა (Rubus chamaemorus)  
 ძაღლის შიტნა  
 ძირშქარა

წაღიკა ბალახი  
 წელის ბალახი (Волоросль)  
 წივანა  
 წელის შიტნა  
 წელის კანაფა  
 ჭანკა (წყალში იზრდება)  
 ჭეიმა (ლიქმანტელა)  
 კოტი (Phascolumult)  
 საშხაში  
 ხაკსი  
 ხოროსანა  
 ხარისთვალა  
 ჯღარდალა  
 ჯორის ძუა  
 ნარი  
 კაჭასი  
 კრანხანა  
 მელიკუდა  
 მურალა (Блохоморь)  
 ჭრელი  
 შავბალახა  
 ძუძუმარწვევა  
 ფუსტული  
 საგახი  
 დოღო  
 ღენცოფა (მოსაწამლია)  
 ღაშქარა (Bromus arvensis)  
 კატა-შიტნა (მოსაწამლია)  
 დოღოშმაკა  
 ცოცხ-მაკარა

ფერინცვალა (ყვავილს წითელი ნაწილი აქვს-რომელსაც ხსნიან ყუ, რძენში და ისვამენ ლოყებზე).  
 უსურვანა  
 ბარამბო  
 კოკოტანა (Molva rotundifolia ბალბაა)  
 კულმუსო (Arnica montana)  
 კაჭაჭი  
 ზღვის კამა (укроп морской)  
 ნარეკალა  
 ქარაძენა ანუ ვარდ-კანაფა (Artemisia vulgaris)  
 ირმის ხაკსი (оле-ний мох)  
 მდოგვი (полевая горчица)  
 საგველა  
 სვილა  
 ნამგალა ბალახი  
 წელის ინა  
 ქარქვეტა

ლახსტაკი (caragana frutenscens, кро-вохлебка)  
 მამხობელა (Agrostemma githago—че-рнуха)  
 მწეურ-მარხი (коростель)  
 ძირ-ტეხილა ანუ ცოცხ-მაკარა (Verbena officinalis ციების წინააღმდეგ აძლევენ)  
 მათოთი (кошачья петрушка)  
 ნარაქელა ანუ თავ-ცეცხლა (centaurea-benedicta чертополох)  
 მერტიულა (campanula)  
 ეინტორა ბალახი  
 ქუჩხაია ანუ კალმასის ბალახი (стенной звѣробой)  
 ქაფურის-ჩაი (кипрей ზოგჯერ ჩაის ურევენ).

## სოკოები

წეროს სოკო  
 წივანა  
 ჭრელი სოკო  
 ხის სოკო  
 ძილის გუდა

ხეჭეჭურა  
 დათვის საგებელა  
 გუდაფშუტა  
 მგლის სოკო  
 მინდვრის სოკო

## სანაყოფი მცენარეები

ძახველა ანუ მონსარი (Vaccinium брусника)

ფშატი  
 ფისტა

ბოსტნეული

ხაეზი

თაღგამი (კომბოსტო  
caulo-rapa)  
ისპანახი  
კატკატო ანუ კერე-  
ტა (portulaco დან-  
დური)  
მუჟუნა  
ნახურა

რეკანდი (Rheum)  
პალნაი (piper ni-  
grum)  
წიწკა (перец стру-  
чковый)  
პამიდორი  
ჩხვი (чечевица)

თრიმლი (Pthelidia)  
მწარე ნაყოფი აქვს,  
რომელსაც ლულის  
მომზადებაში ხმარო-  
ბენ სვიას მაგიერ.  
ნაძვი Pinus  
ტირიაფი (acatifolia)  
ბალაშწარა (бешен-  
ная вишня)

ქორაფი  
ლაფახი  
გრაკლა (spiraea ul-  
maria—таволга лу-  
говая)  
სანდაფი (барвудь  
წითელი ხეა, საღებავ-  
ად ხმარობენ).  
ქაცვი

საყურადღებო ცნობები

**კვერცხის საგზაოდ ჩასაწყობი ყუთები.**  
კვერცხის ბირყაზე პეტერბურგში ამორჩეულ-  
მა სპეციალისტებმა შემდეგი გარდაწყვეტილ-  
ება მიიღეს კვერცხის საგზაოდ ჩასაწყობ ყუ-  
თების შესახებ.

1. ყუთი უნდა იყოს გაკეთებული ხმელი  
მასალისაგან (ძაძვის ფიცრებისაგან). ზაფხულ-  
ში სახმარებელ ყუთებს კედლის ფიცრებ შო-  
რის უნდა ადგილი ჰქონდეთ დარჩენილი რომ  
ჰაერმა თავისუფლად იმუშაოს; ზამთარში სახ-  
მარებელ ყუთებს კი ფიცრები უნდა მჭიდ-  
როდ გაეწყოს რომ სიცივე არ შევიდეს გა-  
რიდან.

2. ყუთის რაოდენობა კვერცხის სიმსხოს მი-  
ხედვით სხვადასხვა ნაირი ექნება.

სიგძე ყუთისა უნდა იყოს 40—42 1/2 ვერ-  
შოკი, სიგანე—11 1/2—13 ვერშ., სიმაღლე—  
5—6 ვერშ. გვერდის ფიცრების, ძირის, სა-  
ხურავის და აგრედვე შიგნითა და გარეთა  
გარდიგარდმო ფიცრების (ორი ფიცარი ყუ-  
თის შიგნით მჭიდროდ გაწყობილნი) სისქე  
უნდა იყოს არა ნაკლებ 1/2 დუიმიხა.

ჰაერისათვის დარჩენილი ადგილები გვერ-  
დის ფიცრებ შუა, ძირში და აგრედვე ყუთის  
სახურავში უნდა იყოს არა ნაკლებ 1/2 და არა  
უმეტეს 1 1/2 დუიმიხა, რადგან უფრო ვიწრო  
რომ იყოს ჰაერი ვე' იმუშავენს საკმაოდ და  
მეტად განივრებში კიდე კვერცხი გამოეტევა  
მოსაბარად. კვერცხი უნდა ჩალაგდეს ხის ბუ-  
რბუშელაში რიცხვით 1440 ცალი თითო ყუ-  
თში ანუ 720 ცალი ყუთის თითო ნახევარში.  
ყუთის თითო ნახევარში კვერცხი ჩალაგდება  
ოთხ რიგად, რიგში 180 კვერცხი ასე: ჯერ

ჩაიფინება ყუთის ძირში ბურბუშელა და ჩაი-  
წყობა პარველი რიგი კვერცხებისა (10×18),  
მერე ზემოდან წაფინება ბურბუშელა და გა-  
ჰყვება მეორე რიგი კვერცხებისა, შემდეგ ამ-  
ნაირადვე ჩაიწყობიან მესამე და მეოთხე რი-  
გებიც ყუთის ორივე ნახევარში.

ბურბუშელის შრეს სისქე უნდა არა უმეტეს  
3/4 დუიმიხა ჰქონდეს, რადგან ამაზე სქლად  
რომ გაფინოთ ბურბუშელა ჰაერი ვეღარ შეა-  
ტანს თავისუფლად და კვერცხებს ამოებრაო-  
ლებათ.

**ძნელად ჩამოსარეცი საღებავი.** ამ სა-  
ღებავის მოსამზადებლად მოხარშავენ ჯერ სა-  
დურგლო წებოს: 3—4 გირვანქა წებოს ჩა-  
ყრიან ერთ ვედრა ცხელ წყალში და წამოა-  
დუღებენ კარგად. შემდეგ გადურევენ ნელ-  
თბილ წყალში, სადაც წებო გაიხსნება და  
მიიღება წებოიანი წყალი. მერე ამ წებოიან  
წყალში ჩაუშვებენ 1/8—1/4 გირვანქა სუფთა  
მოხარშულ ზეთს და დაურევენ რომ ზეთი  
გაეხსნას სითხეში და აღარა ცურავდეს ზემოდან.  
შემდეგ ჩაყრიან საღებავს: ვედრაზე 1—3 გირ-  
ვანქას და დაურევენ.

მიღებული წამალი თამამად შეგვიძლიან ვი-  
ხმაროთ როგორც საღებავი დახურულ შენა-  
ბებში. ხოლო გარედ კედლებზე ან სხვა რამე  
ავეჯუელობაზე სახმარებელი საღებავი ცოტა  
უფრო მაგარი უნდა გაკეთდეს. ეს მეტი სიმაგრე  
ასე მიეცემა: უნდა მოშაო პურის ფქვილი  
(пеклеванная мука) გაიხსნას ცივ წყალში,  
წამოდუღდეს და გადერიოს ზემოხსენებულ წე-  
ბოიან წყალს ცხელშივე. ამნაირ სითხეში გა-



ხსნილი სადებავი მკვიდრი და ძნელი ჩამოსა-  
რეცხი ხდება. შედეგილი ზედაპირი გაშრობის  
დროს ცოტათი მკრთალდება და რაკი ერთი  
გაშრობა დიდხანსა სძლებს უცვლელად.

**ცხენის ჩლიქის მოვლა კვიცობაში.** ზა-  
ფხულში ცხენის ჯოგში კვიცებს ზშირად წინა  
ჩლიქები უბრუნდებთ: შიგნითა გვერდი ჩლი-  
ქისა ზედმეტად ეზრდებათ გარეთა მხარესთან  
შედარებით. ეს იმითი აიხსნება რომ კვიცი  
მოკლე ბალახის ძოვნაში ძანა შლის წინა-  
ფეხებს რომ ბალახს მოსწვდეს და ამასობაში  
შიგნითა მხარეს ჩლიქისას მეტად აწევა, მა-

შასადამე მეტად აგარჯიშებს და ამიტომ მე-  
ტად ეზრდება.

ესეთი სიმანინჯე რომ კვიცს არ შეჰყვეს  
დიდობამდე, უნდა რაც ზაფხულში საძოვარზე  
გაფუტდა ის ზამთარში, როცა კვიცი ხმელ  
საჭმელზეა, მაშინ გასწორდეს.

ამისათვის ზამთარში კვიცს 3-4 კვირაში  
ერთხელ წინა ჩლიქები გარეთა მხრიდან ღრმად  
უნდა შემოეჭრას ხოლმე და შიგნიდან კი ოდ-  
ნე შემოეკვერცხოს. ჩლიქის შიგნითი და გა-  
რეთი გვერდები ზაფხულამდე ისევე გათანას-  
წორდებიან და დიდობაში ცხენს ფეხი შნოიანი  
ექნება.

# განცხადებანი

მთელ კავკასიაში პირველი სპეციალური  
ელექტრო-მმანანიკური დაწესებულება

## ა. ღიუგა

ტფილისი, მიხაილავის ქუჩა, № 140,  
რომელიც ამზადებს მეფუტკრეობაში  
საჭირო ყველანაირ იარაღებსა და ავე-  
ჯეულობას.

**დედა-ფუტკრის გზრდა ხელოვნურად,  
წიგნები და სახელმძღვანელოები  
მეფუტკრეობის შესახებ.**

აქვე ყიდულობენ და ჰყიდიან  
**თაფლს და წმიდა სათელს.**  
პრეისკურანტი უფასოთ.

**მოსავლის რედაქციაში იყიდება შემდეგი  
ქართული წიგნები:**

- გ. ი. რცხილაძე** კრებული არითმეტიკუ-  
ლი ამოცანებისა (მეორე ნა-  
წიდი) 50 კ.
- იმიხივე** (თარგმანი) ქიმია პრ. როსკო-  
სი (მეორე გამოცემა) 30 კ.
- იმიხივე** საზოგადოებრივი ცხოვრების  
წარსულიდან ზე შვეიცარიის  
ძირითადი კანონები 25 კ.

(ამ გამოცემის წმინდა შემოსავალი ტფი-  
ლისის სახალხო უნივერსიტეტის სასარ-  
გებლოდ არის დანიშნული).

სამეურნეო ჟურნალი

## მოსავალი

წელიწადი მეორე

მიიღება ხელისმოწერა 1910 წლისა-  
თვის.

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის  
ხელისმოწერლებს წლის დამლევს გა-  
უგზავნის უფასოდ თითო წიგნს—**ბრო-  
შურას** მეურნეობის რომელიმე დარ-  
გიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Баря-  
тинская, 5. Редакция «МОСАВАЛИ».

სამეურნეო ჟურნალი

## მოსავალი

ერთ წიგნად **შდა-ქაჯმული** ჟურნა-  
ლის ყველა 15 ნომერი შარშან გამო-  
სული მსურველთ დაეთმობათ იმავე  
**2 მანეთში**, რამდენიც წლის დამლე-  
ვამდე ღირდა ჟურნალი.

რედაქცია-გამომცემელი **გ. ი. რცხილაძე**